

140  
1966 / 2.

ՀԱՅԿԵՏԻ  
ՅՈՋԱՐԱՐՈՒՄ



ՀԱՄԵՆԱ 5  
1966

# გამარჯობა,

## ქალღმერთ!

სიმღერაც და გაზაფხულო  
ჩვენი მთის და ბარისო,  
ვარდისთვეო, თაფლისთვეო,  
შუქო ბადრი მთვარისო.  
მაგ შენი მზით და ღიმილით  
მიწის თვალი აივსო,  
მონხვევნა და კოცნა გვინდა  
შენი ღროშის ქარისო.  
რწმენა ხარ და იმედი ხარ  
ჩვენი დიდი ხვალისო,  
ყვავილეებმა შენმა, გული  
კვლავაც გაგვიხალისოს.  
გამარჯობა, გამარჯობა,  
ჩინო ორთავ თვალისო—  
ქმობის, ტრფობის მაისო და  
გამარჯვების მაისო!

ჯანსუღ ჩაკვიანი



დღეს ყელსახვევი წითელი  
მიიღე გულის ძეგრით,  
მაშასადამე, დღეიდან  
ხარ ნორჩი პიონერი;

მაშასადამე, დღეიდან  
შენი სიცოცხლის აზრი  
მზის ისარივით სწორია,  
მზის მახვილივით—ბასრი.


დიდია შენი მიზანი:  
სწავლა და შრომა მარად,  
მშობელი ქვეყნის ამაგი  
არ დაიტოვო ვალად.

შენი გზა მწვანე აღმართზე  
ელაგს სიმართლის ელვად,  
გელის ამ გზაზე მრავალი  
სინარული და დელვა...

შენ იქ მიგაფრენს ოცნება,  
სად, ვარსკვლავების დასით,  
ცათა წიაღში კაშკაშებს  
თეთრი მივარე თუ მარსი.

აგისრულდება ყოველი  
ნატვრა, სურვილი წრფელი.  
შენ ხარ იმედი ხვალისა,  
შენ—ნორჩი პიონერი.

სიმონ შაჰუჩიანი



10.036.



Handwritten musical notation and Georgian letters (ქ, ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, უ) are scattered around the red bar.



# ნუგეზი,

# ბუნაქი

# ქ

# სხეჯი

ნა ასეთი შურდული შამებზე სანადიროდ. პოდა, ნუგზარს ბეგრი აღარ უფიქრა, შინდის ბუჩქებში სწრაფად მოძებნა და მოსწრა ორკაბი წელი, ვიღაცას რეზინი და ტყვის აწეია ხაჭერი გამოსხოვა და სულ მალე შურდულიც მზად ჰქონდა.

მერე კი, შურდულმაც და შამებზე ნადირობამაც ისე გაიტაცეს ნუგზარი, რომ სულ მივიწყდა წვიციც და სწავლა. ზღიზღელ ღებულობდა ორიანებს და ამხანაგების გულისწყრომა და დაციწევაც კი დაიშასურა. ამაყმა ბიჭუნამ ეს იწყინა; „ღამცინით? კეთილი სულ აღარ მოვალ სკოლაში და ვის დასცილებთ იმასაც ვინაზა? — ფიქრობდა ნუგზარი და მერე დედას უთხრა, — მაგ სკოლაში სიარული აღარ შემძლია, ცუდი ამხანაგები არიან, ყოველ ღვთის ნაბიჯზე დამცინიან და მამკირებენ, გადამიყვანე სხვა სკოლაშიო.

— კი მაგრამ, რა მოხდა ისეთი, რაღომ დავცინიან? — ჰკითხა დედამ. — არ ვიცი! თუ სხვა სკოლაში არ გადამიყვან, სულ დავანებებ სწავლას თავს! — გაბრაზებით უთხრა ნუგზარმა.

— კარგი, შვილო, კარგი. ოღონდ შენ იყავი კარგად და სკოლების მეტი რაა, — დაუწყევავა დედამ.

ნუგზარსაც ეს უნდოდა, — მეორე დღეს სკოლაში აღარ წასულა. აიღო თავისი შურდული და შამებებს დაუწყო დევნა. დღეები დღეებს მისდევდა. ნუგზარმა სულ მიატოვა სკოლა. და აი, ერთხელ რაზმში თქვეს, —სიუ არ ივარგებს, ჩვენ მართლა ცუდი ამხანაგები ვიქნებით, თუ ნუგზარს არ მივხედავით და, ამბის გასაგებად ნუგზარსთან მივიდნენ სახლში. მაგრამ შინ არავინ არ დახვდათ.

დაღონდნენ ნუგზარის თანარაზმელები, უკან გამობრუნებმა დააპირეს, ამ დროს ნუგზარის დედაც გამოჩნდა.

— დედა, დედა! ნუგზარმა მხად არის? — მაშურეს პიონერმა, — რაღომ არ აღდის სკოლაში?

— ეგ თქვენ უნდა გკითხოთ. ბიჭი გადამიჩიოთ, თურმე სულ დასცინით, შეიძულეთ და ახლა მე შეკითხებით! — დაუტანა ნუგზარის დედამ. — აღარ დავინახოთ ამ მოსულეში, ნუგზარი სხვა სკოლაში გადაიყვანა. პიონერები სახტად დარჩნენ, — კეთილი გულთი მოვედით და ეს როგორ შეგვეხვიაო.

— ეჰ, წვივლეთ ბიჭებო, — ნალვლიანდ ჩაილაპარაკა რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ თემურ ზარნაძემ. — უფროსი პიონერხელმძღვანელს მოუხსნით, ის გვასწავლის როგორ ვეუფიცეთ.

პიონერები სკოლას მოუხსნოვდნენ. ეზოდან უფროსი პიონერხელმძღვანელი შუშანა ცხომარია და მე-სამე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ნელი ჩაღუნელი გამოვიდნენ, რომ ეგეს აშკარად ეტყობოდათ, თორ რაღაც არასასიამოვნო თემზე ჰქონდათ საუბარი.

— რაშია საქმე? რატომ არ მიღიხართ სახეებში? — ჰკითხა ხელმძღვანელმა, როცა პირველრაზმელებს მიუახლოვდა.

— შუშანა ხელმძღვანელო! — მორიღებით დაიწყო ლილი ინაკაიძემ. — ნუგზარ გველესიანთან ვიყავით ამბის გასაგებად...

ლილიმ ყველაფერი დაწვრილებით უთხრა.

— პოო, ეს არ არის, კარგი, — თქვა შუშანამ და თან ჩაღუნელს გადახედა, — ხომ ხედავ, ამათაც ამხანაგის ბედი აწუხებთო, — ამოვიტოხა ხელმძღვანელის თვალებში ნელი.


— მამსეც, ჩემო კარგებო, — განავრთო შუშანამ, — ნელის რაზმშიც აღმოჩნდა ასეთი პიონერი. მანაც

## თქმარი საბავშვო

### მატყარი მ. ანტონაძე

ნუგზარი და გულნაზი ხობის რაიონის სოფელ ახალსოფელში ცხოვრობენ. ორივე ერთ სკოლაში, მაგრამ სხვადასხვა კლასში სწავლობენ. ნუგზარი მეხუთე კლასშია, გულნაზი — მეშვიდეში. მათი რაზმეულ გმირი კომკავშირელის ოღვე კომეგოსის სახელს ატარებს. მაგრამ ნუგზარი და გულნაზი... თუმცა, სჯობს ყველაფერი დაწვრილებით გაიამბოთ.

ნუგზარი მაშინ მეოთხე კლასში იყო. ერთხელ სოფლის ბიჭებს შურდული დაუნახა ხელში და ძალიან გააუვიკირდა. — ნეტავ რა უნდა იყოს, მაგრამ როცა შურდულით ნასროლი კენჭით სუროს ბუჩქებზე ჩამოკონწიალებული, გაბრუნებული შამეი დაინახა, ძლიერ მოეწონა „იარაღი“ ის გადწყვიტა, — საც გაეკეთებო-



შეიძლება სკოლა, ამხანაგები, სწავლა და ახლა სკოლაში აღარ დადის. პოდა, თუ ჩვენ კარგი ამხანაგები ვართ, — ყველაფერი უნდა გავარკვიოთ. ხვალ რაზექულის შეყრებაზე ვილაპარაკოთ და ერთად ვადაწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ. ახლა კი სახლებში წაით და გავცემთ მოამზადებთ.

ის იყო შუშანა ხელმძღვანელმა ნუგზარის ამხანაგები სახლებში ვიიტუტურა, რომ ახლა ნათელა მამფორია და ქეთიო ტალახაძე შენიშნა თავიანთ რაზექლებთან ერთად. პიონერები წიგნებით დატვირთულები მიდიოდნენ სკოლისაკენ. „ოპო, ეს კარგია!“ — სიამოვნებით გაითქიქრა შუშანა ხელმძღვანელმა და მოფიქრდა და წინა შეყრება, როცა განიხილავდნენ სკოლაში „პიონერული ბიბლიოთეკის“ შექმნის საკითხს; ბიბლიოთეკის გამგემ პიონერებს მოაგონა დიდი ლენინის უახლოესი თანამებრძოლისა და ბავშვების გულის მესაიღუმლის ნადედა კრუტსკაიას სიტყვები: — „ი, სადაც პიონერები მარშით დადიან, მღერიან და არ კითხულობენ, საქმე არასწორად არის დაყენებული. პიონერები, ნორჩი ლენინელები, წიგნის მეგობრები უნდა იყვნენ“. ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს პიონერებზე და წიგნის ერთკვირეულის გამომცემების შემდეგ ყველა ჩაება „პიონერული ბიბლიოთეკის“ შექმნის საქმეში.

— გამარჯობათ, გოგოებო! — მიესალმა შუშანა, როცა პიონერები ხელმძღვანელს მიუახლოვდნენ.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! — მგვირცხლად უპასუხეს პიონერებმა, — ეს წიგნები კი მოვაკეთეს, მაგრამ სად დავაწყობთ?

— სად და, პიონერთა ოთახში — იქ საიმედოდ კარდაა გამოყოფილი, — თქვა ხელმძღვანელმა და მერე დასინდა, — ენახათ, ვისი რაზმი ვაიმარკებს.

სამ დღეს ეზიდებოდნენ პიონერები წიგნებს სახლებიდან. თანდათან იზრდებოდა „პიონერული ბიბლიოთეკის“ წიგნის ფონდი და სულ მალე 300 წილი მიიღწა. განსაკუთრებული აქტიურობა შექმნეს და მეგვიდელასეულზემა გამოჩინეს და ქებაც მათ დაიწახურეს, — პიონერულ ხაზზე, რაზექულის გამოიღო დროშასთან, „პიონერული ბიბლიო-



თეკის“ შექმნაში ყველაზე აქტიურ პიონერებს მადლობა გამოუცხადათ.

მეორე დღეს, გაცემითლების დამთავრების შემდეგ, მთელი რაზექული პიონერთა ოთახში შეიკრიბა. ბევრი ილაპარაკეს და იმსჯელეს, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, სასურველი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. ბოლოს, ისევ პიონერხელმძღვანელმა აიღო სიტყვა.

— თქვენ კარგად იცით, — დაიწყო მან, — რომ ჩვენი რაზექულის გადაწყვეტილებით ყველა პიონერი აქტიურ მონაწილეობას უღებობს ყვავილების მივლა-გახარებაში, პოდა...

პოდა, ყველა მიუხვდა ხელმძღვანელს. ნუგზარი ხომ კარგი, ხელმარჯვე ოსტატი. ყვავილებისათვის კი ღვაწები და თაროებიანა სჭირია. ეთხოვით ნუგზარს, თაროების დამზადებაში დაგვეხმაროს. ის ისეთი ბიჭია, თხოვანზე უარს არ გვეტყვის, გაეხარდება კიდეც. — ამხანაგებს მთლად არ დავეწყვიტებოდა, — და სკოლასაც დაუბრუნდება. — ერთხმად გადაწყვიტეს პიონერებმა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, გულხანო? გულხანო როგორ მოვიყვანოთ სკოლაში? — ფიქრობდნენ პიონერები და თან მოავიწყდათ, როცა ჩაის კრეფის დროს ციციო გურულეს ხილბანდი დაეკარგა და ზუსტად ისეთი ხილბანდი მიერე დღეს გულხანის დაუნახეს ხელში. „იი, თურმე ვინ ყოფილა ქურდი.“ — ერთმანეთს ვადაუტურჩულეს მესამე რაზექულებმა და ამერხილად გადახედეს გულხანს. ეწყინა გოგონას, — ქურდობა როგორ დამწამესო, — ბეჭი იტირა და იფიცა, — ხილბანდი დღემამ მიყიდაო, — მაგრამ ვინ დაუჭერა? ადუღებულმა გულხანზემ სხვარამ ვერაფერი მოიფიქრა, ხილბან-



დი იქვე მიაგოდ და სახლში გაიქცა. ის დღე და ის დღე, ამხანაგებს აღარ გაჰკარებია, აღარც სკოლაში მისულა. კარგა ხნის შემდეგ, როცა ციციონომ ხილბანდი თვისსვე სახლში იპოვა და გულხანზე გამართლდა, ყველას ეგონა, გულხანის წყენა ვადაუგლის და თვითონ მივა სკოლაშიო, მაგრამ შექდნენ — გულხანო ასე ადვილად არ იფიქრებდა შეურაცყოფას.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა დალი კუპრაძემ.

— რა ვქნათ და, — მტკიცედ თქვა ოთარი მალაკალიძემ, — ციციო გურულმა ბოდიში მოუხადოს გულხანს, მერე კი რაზექულის სახელით სთხოვოს — მოვიდეს სკოლაში და ქუქუხა გვიცისათვის სასკოლო ფონისში შეკრებაში დაეხმაროს თამარ ინაკვიძეს და ქუქუხა გულაშვილს.

ეს აზრი ყველას მოეწონა. გულხანზემ შესანიშნავად იცის ყერვა. ქუქუხა დღეს ვერ შეიღო ჰყავს და ყველაფერი შვი აუღის. ეს ამბავი გულხანზემაც კარგად იცის და, აბა როგორი დიხარება მივობრული დახეობების ხელი გაუფროს უქუქუნა?



ნუგზარი გაოგნებული იღვა. ვერაფერი ვერ გაეგო, რა დახმარებას ითხოვდა.

— მოიცათ, ბიჭებო, მოიცათ! — შეჩერა ამხანაგები ლილიმ, — ხომ ხედავთ, ვერაფერი ვერ გაიგო. — მერე ნუგზარს მიუბრუნდა და ყველაფერი დაწვრილებით უთხრა. — ჰოდა, შენც თუ არ დაგვეხმარე თაროების დაზარალებაში, — განაგრობო ლილიმ. — ჩვენი რაზმი ჩავლავებდა.

— კი მაგრამ, მასალა? საიდან გავაჩინო?

— მასალა არის, ჩვენმა შეფებმა მოგვეცეს მეურნეობიდან, — სიხარულით უთხრა ბიჭებმა. — წამოდი სკოლაში!

— სკოლაში?

— ჰო, სკოლაში!

— არა, ვერ წამოვალ! — ჩაიდუღუნა ნუგზარმა და ხელში შურდული აათამაშა.

ლოლის ცრემლი მოადგა თვალზე. ბიჭებმა შურდულისაყენ გააპარეს მზრა. ნუგზარს შერცხვა და ლოლის მიუბრუნდა:

— გაეცეთლები არა მაქვს მომზადებული და ეს ვაჭაბატონები ისევ დამიწყებენ დაიხვიას.

— მერე, მაგაზე ადვილი რა არის?

— იმედი მიეცა გოგონას, — დღესაც ნუ მოხვალ სკოლაში, ხვალისათვის კი მომზადე და ისე მოდი! ჰო? ხომ, მოხვალ!..

— ჰო... კარგი... მოვალ... — ნაწყვიტ-ნაწყვიტ თქვა ნუგზარმა.

კარგი დღე არ აღდა ციციონ გურულს, მიღობდა გულნაზის სახლისაკენ და, რომ იტყვიან, ფეხები უკან რჩებოდა. ისწორედ ისე მიილას-სებდა.

— ბოდიში მოხადე! რა ადვილად თქვეს?! — ფიქრობდა ციციონ, — მერედა, როგორ მეჭაგრება ბოდიშის მოხდა. არა, ვითომ რა იქნებოდა თვითონ მოსულიყო? ხომ გაიგო, რომ ხილაბანდი ვიპოვე და მას არავინ არაფერს აღარ ამბობდა? მაგრამ, ეჰ, თვითონ მე ვარ დამანაშავე, ავჩქარდი, განგავი ავტეხე, არიყა მიშველეთ-მეთქი, ცამდე მართალ გულნაზის ქურდობა დაეწამე“.

ამ ფიქრებში მიადგა ციციონ გულნაზის სახლს. გოგონა უზოში გამოსულიყო და თეთრად გაქაქათებულ

სარცხს თოკზე ჰყვინდა. ციციონ რომ დაინახა, გულში უსიზრო ვრძობამ გაჰკრა, — შენს გამო არ იყო, ქურდობა რომ დამწყემსო, — მაგრამ მაინც არ შეიძინია და ღიმილით მიეგება.

შეცბა ციციონ, ასეთ შეხვედრას არ მოელოდა, — ჩემს გამო იმეცა ტკივილი გადაიტანა და ეს რა მხიარულად შემეგებო. მერე სწრაფად შეალო კუბი კარი და გულნაზის ვადაეხვია აცრემებული. ბოლოს, როცა ცოტა დამოშინდა, ხილაბანდი გაუწოდა, — შენი ყოფილაო, სხვა ვერაფერი ვეღარ მოახერხა. გულნაზიმ მშვიდად ჩამოართვა ხილაბანდი და თოკზე ჩამოჰკიდა.

— გულნაზი, რაზემულის დაეღვებით მოვედი შენთან, — ახლა უკვე თამაზად დაიწყო ციციონი. — ხომ იცი ქუთუნა გეგების ამბავი, იმ გოგოს მოწყურის ფორმა არა აქვს და ამხანაგებმა გადაწყვიტეს თვითონ შეეკერონ. შენ კარგად იცი კერვა, თუ მოხვალ სკოლაში და თამარ ინაკვიფისა და ქუთუნა გულაშვილს კაბის შეყერვაში დაეხმარები, კარგი იქნება.

გულნაზი არც კი დაფიქრებულა, ისე დაეთანხმა.

მეორე დღეს გულნაზიც მივიდა სკოლაში და ნუგზარიც. გაეცეთლების შემდეგ ბიჭებმა ნუგზარი სკოლის სახელოსნოში გააქაქეს, გულნაზი კი პიონერთა ოთახში შეიყვანეს გოგოებმა, გამართეს საკერავი მანქანა და, მერე აველფერი თავისი რიგით წვიდა.

ეს ამბავი შარშან მოხდა. გულნაზი და ნუგზარიც წარმატებით გადავიდნენ შემდეგ კლასში. ისინი ახლა კარგად სწავლობენ და სკოლის პიონერულ ცხოვრებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ.



# ჩვენი ქაზები უბოხაზი

არაღიონ ქორძი

მატყარი ზარბა ფორხინი

1

სკოლაში მყავდა ერთი ამხანაგი, სახელად ბაგრატი. ჩემზე ერთი წლით იყო უფროსი, მაგრამ ერთ კლასში ვიყავით და ვეფობობოდით ერთმანეთს. ძალიან ღონიერი ყმაწვილი იყო, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ თავისი დიდი ღონით ვინმე დაეჩაგრათ, ვინცისთვის ხელი გაერტყას. არ იკადრებდა ერთხელ ერთმა უფროსკლასელმა ბიჭმა უთხრა: ღონიერი გავეჭობოთო ერთმანეთს. ჩვენს სკოლასთან სადღურგლო სახელოსნო იყო გამართული. გვასწავლიდნენ სხვადასხვა საოჯახო ნივთების კეთებას. აი, წავედი ამ სახელოსნოში. ბაგრატმა აიღო ერთი გოჯის სისქე ფიცარი, დიდი, ფართოქუდიანი ლურსმანი, დაიხვია ხელზე ცხვირსახოცი და დაბკრა ლურსმანს მუშტი. ლურსმანი გავიდა მეორე მხარეს.

— აბა, შენ ვააკეთე, — უთხრა ბაგრატმა მეტოქეს. მეტოქემ ვერ გააკეთა. მხოლოდ ხელი იტკინა. ჩვენს სკოლაში იყო ერთი მექვიშეკლასელი, ძალზე ღონიერი და ძალზე თავგასული ბიჭი — სახელად ჭუბარა. აბა, უმცროსების ცემა-ტყემა იმისი ხელობა იყო! ჩვენ ყველანი გავფრბოდით მას. ის კი ძალიან ყულოწინობდა. ჩვენი ნუგეში ის იყო, რომ ჭუბარა ცუდად სწავლობდა. ჩვენ კი ვცდილობდით კარგად გვესწავლა.

ერთხელ, დასვენებაზე, ჭუბარამ სცემა ერთ მოწაფეს. ბაგრატს გულმა ვერ მოუთმინა და ჭუბარას უთხრა:

— ეგ რა საკადრისია, ღონიერმა სუსტსა სცემო! ჭუბარამ იუკადრისა შენიშვნა.

— არამკითხე მოამბეო ბიჭებო და მიაგდეო, — დატინეთ უპასუხა ჭუბარამ.

— ღონე კამეჩისაც აქვს, მაგრამ ისიც დინჯად დადის, — ვაცინა ბაგრატს.

კამეჩს შემადარაო და ვაზელებული ჭუბარა ეცა ბაგრატს, გამოჰკრა სარმა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. გაბრადა ჭუბარა, ჩაბღუჭა ორივე ხელით, მაგრამ მაინც ვერაფერი უყო, ვერ წაქვია. მთავარი კი ეს იყო — უნდა წაქვია!

ჩვენ, მებუთე კლასის მოწაფეები, სულგანაბული ვუყუარებდით ამ სურათს; ასევე დაძაბულად უყურებდნენ მექვიშეკლასელები, რომლებსაც არ უყვარდათ ჭუბარას მეტატირობა და უხეშობა, მაგრამ პირში თქმას ვერ უხედავდნენ, ერიდებოდნენ, ხან გაუცინებდნენ კიდევ, მაგრამ ვაი ასეთ სიცილს.

ახლა კი, ახლა, როცა ორი ღონიერი ბიჭი ერთმანეთს ეცა, ყველამ წრე გავაკეთეთ და ველოდით, სუნთქვაშეკრულნი ველოდით, რით გათავდებოდა ეს შეტყინება. საქმეს ისიც აძინებდა, რომ ჭუბარა ორი წლით უფროსიც იყო ბაგრატზე. ჭუბარას გაღაბული ბიჭიც იქვე იღა, ცრემლები ჭერ ან შერობოდა, ლოყებზე ალი მისდებოდა, ზღუქუნებდა და ელოდა, ელოდა... გაღაბულმა ბიჭმა დაწმუნებულ იყო, რომ სიმაართე გაიმარჯვებდა. იქვე იღა ის ბიჭიც, ბაგრატი რომ შეეჭობებოდა გამოიწვია და ფიცარში ლურსმანი ვერ გაატარა. იღა, თვალში გაფართოებოდა, სუნთქვა გახშობებოდა. ეტყობოდა, რომ მისი თანაგემოდა ბაგრატის მხარეზე იყო.

გაისმა ზარი. გათავდა შეხვედნა. „გაკვეთილის შემდეგ!“, — უთხრეს მოკრინილებმა ერთმანეთს და შევიდით ჩვენ-ჩვენს კლასებში.

2

გაკვეთილზე ძალიან ვეღვავდი. მასწავლებელს უკვირდა, რომ ყველაზე დიწხ მოწაფეებსაც მოუსვენებოდა ეტყობოდათ. არ იქნა და არ იქნა — არ გათავდა გაკვეთი-





ლი. ერთი ხუმარა მოწაფე გვეყავდა, სახელად ჭოკნა. — ხარლამშია დაეძინებოდა, — თქვა მან, — წავალ გავადვიძეო.

ხარლამშია სკოლის დარაკი იყო. ის რეკავდა ზარს. ჭოკნამ თითი ასწია და მასწავლებელს კლასიდან გასვლის ნებართვა თხოვა. მასწავლებელმა გაუშვა. ჭოკნა გავარდა კარში. ცოტაც და, დაბრუნდა დაღონებული, დაჭადა მერსზე და თითებით ვაინძინა: — კიდევ ოცი წუთი დარჩაო.

ბოლოს, როდის-როდის, ვაისმა ზარი. ამოვისუნთქეთ თავისუფლად, სიხარულით, დაველოდეთ მასწავლებლის კლასიდან გასვლას და გავცვიფდით გარეთ.

ორივე კლასს ეწოდა ვაიკრიფა. გავაქეთეთ წრე, გამოვდინეთ მოჭიდავენი.

ჭიდაობა ჩვენს სკოლაში თამაშობის ერთ-ერთი სახე იყო. ოღონდ, წესად იყო შეზღუდებული: ღონიერი მასზე უხსტს არ დაეძინებოდა. მხოლოდ ტლომ ტლოს გაეჭიბინებოდა ხოლმე. ეს იყო და ეს. რასაკვირველია, ორში ერთი წაიჭიციოდა, მაგრამ არავის სწყინდა: თამაში—თამაში იყო!

ახლა კი, ახლა ეს ჭიდაობა თამაშობა არ იყო. ჩვენ ყველანი ვგმობობდით, რომ ერთმანეთს დაეჭიდა სკოეთ და უხსტსა. და თუმცა ორივე ჩვენი ამხანაგი იყო, ბაგრატი და ჭუბარა, ჩვენ ბაგრატის გამარჯვება გვიწოდოდა, ჩვენ სიკეთის გამარჯვება გვიწოდოდა...

ბოლა, დეტაკენე ერთმანეთს ბაგრატი და ჭუბარა. ჭერ კისერში ჩაავლეს ხელი ერთმანეთს, შემდეგ ქამარში. რა ხერხს არ მიმართეს, რა ფანდი არ იხმარეს... ახა გვერდულელი, ახა სარმა, ახა კისრული... ვერც ერთმა ვერ გააკრა მოწინააღმდეგე ბეჭებით მიწაზე. ჭუბარა უფრო მოქნილი იყო, უფრო მაღალი, უფრო შემტევი. ბაგრატი — უფრო დაწევი, დაბალი, უფრო მომთმინე. ბოლო გაკვეთილიც ხომ გათავდა და ბაგრატი არ ჩქარობდა.

ხეობები დაღბანს გაგრძელდა. ჭუბარას გალაგებული ბიჭი იქვე იდგა და სახეზე ფერ-ფერი ასდიოდა.

ბევრ ტრიალში, ეტყობოდა, ჭუბარა დაიღალა. ბოლოს ბაგრატმა წელში ისე მაგრად მოუჭირა რკინის მკლავები,

რომ ჭუბარას სუნთქვა შეეკრა, ორივე ბეჭით მიწაზე გაიშტა.

გაიშტა და იუკადრისა. რომ წამოდგა, ჩხუბზე გაიწია. მაგრამ ჩაერგინე უფროსი მოწაფეები და არ მისცეს ნება.

— ქიღობა ჭიდაობა, — უთხრეს ჭუბარას. — ჩხუბი სირცხვილია ჩამოართვი ხელი!

ჭუბარას ეყო ვეპაცობა, ხელი ჩამოართვა ბაგრატს. გავგებარდა ბეჭებს, გავგეხარდა, რომ უხეშობამ და ტლანქმა ძალამ ქელი მოიხარა სიკეთისა და სიმაართის წინაშე!



უკანასკნელ კლასში რომ გადავიდა, ზაფხულის არდადეგებზე, ბაგრატი მატროსად დედლა გემზე. მაშინ ბაგრატი მეთექვსმეტე წელში იყო.

ბაგრატმა მოლოდინი ხმელთაშუა ზღვა და პირველი სექტემბრისათვის ფოთში დაბრუნდა.

— ახა, მიამბეთ, — როგორ გაატარეთ ზაფხული? — გვითხრა კლასის დამრიგებელმა. ჩვენც ვუამბეთ. განსაკუთრებული უხრადლება, რასაკვირველია, ბაგრატმა მიიქცია. ერთმანეთს ცვლიდნენ ქალაქების სახელები: სტამბოლი, ათენი, მესინა, მარსელი, ალექსანდრია... ჩვენ ამ ქალაქებს გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან ვიცნობდით, ბაგრატმა კი პირადიდ ნახა და, რატომაც, გავგებარდა ის, რომ ჩვენმა ამხანაგმა ეს ქალაქები ნახა. და ბოლოს ბაგრატმა თქვა:

— კარგი ქალაქებია, მაგრამ... ფოთში რომ ჩამოვედით და ჩვენი ენა გავიგონე, ცრემლები გაღმომცვივდა..

ჩვენ ეს გავგვიყვირა.

მასწავლებელმა გაკვირვება რომ შეგეტაცყო, აგვისნა:

— საშოშოლო და დედუნა ყველაფერზე ძვირფასია აღამინისათვის!

— შე 18 მანეთი მქონდა ჭამაგირი, — გვითხრა ბაგრატმა. — ამ წელს სწავლის ფულს მე თვითონ გადავიხდი, ჩემი ფულით!.. დედაჩემსაც ერთი კარგი ხაყაბე ჩამოვუტანე მარსელიდან...



ბაგრატმა თბრობა დაამთავრა. მასწავლებელმა შექო იგი, ჩვენ კი ასე გვითხრა:  
— იცოდით, ნამდვილი კაცი ის არის, ვინც პატიოსანი შრომით ცხოვრობს...



სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ბაგრადი ისევ მატროსად წავიდა გემზე. ვახტა კაპიტნის თანაშემწე. იყო მონაწილე პირველი მსოფლიო ომისა. სამოქალაქო ომის დროს ბოლშევიკებს ეხმარებოდა, თავისი გემით იარაღს აწვდიდა შავი ზღვის ნავსადგურის მუშებს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გემის კაპიტანი იყო. მუშაობდა ფოთში.

ერთხელ მისი გემი დიდ დღეღავაში მოხვდა, ოსმალეთის სანაპიროზე. გემი ძველი იყო და ვერ გაუძლო ტალღებს. დაწყო ჭრიალი. ბაგრატმა ყველა მატროსი ფელუგებზე გადასხა, და სანაპირზე გასვლა უბრძანა.

— თქვენი, კაპიტანო? — ჰკითხეს მატროსებმა.  
— მე და ჩემი გემი ერთად ვცხოვრობდით და ერთადვე დავამთავრებთ სიცოცხლეს, — უპასუხა ბაგრატმა.

ზღვაზე წესია ასეთი: გემი როცა ილუბება, კაპიტანიც ილუბება გემთან ერთად. ეს შეზღვევარების ტრადიციაა და ერთგვარი რომანტიკა — ლამაზი რომანტიკა!

ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პირობებში ამ წესის დაცვა სავალდებულო არაა.

მაგრამ ბაგრატმა არ უღალატა ტრადიციებს. დადგა კაპიტნის ბოგირზე და მშვიდად დაელოდა მიცხრე ტალღას.\*

აი, მოვარდა მეცხრე ტალღაც. ეცა გემს. შვარხია, შვარყია, და გემმა კიროთი იწყო ჩაძირვა. ნავეზში მჭდომი მატროსები წამოდგნენ, ქუდი მოიხადეს და დაუტრიალ საზარისკენ, თვალში ცრემლით ვააციდეს რაინდო კაპიტანი..  
აი, ასეთი იყო ჩემი კარგი მეგობარი, ბაგრადი!

\* ასე უწოდებენ მეზღვაურები ყველაზე დიდსა და სახიფათო ტალღას.



ი. შამუგაძემ: თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს ისეთი ნერგი დარგე, რომ ხვალემა მაღლობით სოქვას: ნანერგითა შენნი მარგე.

მ. გომრპი: აღამაინასავან მხოლოდ მისი საქმეები რჩება.

მ. მენაღლი: პიროვნება მხოლოდ იმით როლი ხასიათდება, თუ რას აკეთებს იგი, არამედ იმიტაც, თუ რომლირ აკეთებს.

კლიმუგაული: როცა სახლიდან გაღისარ, იფიქრე იმაზე, თუ რის გაკეთებას აპირებ, ხოლო როცა შინ დაბრუნდები, იმაზე დაფიქრდი, —რა გააკეთე.

ბ. ლიხტენშტერმი: ისინი, რომელთაც არასოდეს არ სცალიათ, ჩვეულებრივ არაფერს არ აკეთებენ.


პითაგორა: ქანდაკებას ამშვენებს შესახედაობა, კაცს კი —მისი ნაღვაწი.

ლ. ტოლსტოი: აღამაინები იმიტაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ერთნი ჯერ ფიქრობენ, მერე ამბობენ და აკეთებენ, მეორენი კი ჯერ ამბობენ და აკეთებენ, ხოლო შემდეგ ფიქრობენ.

...ნურ ერწმუნებით ნურც თქვენს, ნურც სხვების სიტყვებს, ენდეთ მხოლოდ საქმეს —თქვენსასაც და სხვებისასაც.

ბ. შრანალნი: მართალია, რომ საქირა ბევრი რამის გაკეთება, შენ კი, შესაძლოა, არა გაქვს დიდი ღონე; მაგრამ მოჰკიდე საქმეს ხელი გულიონად, და კარგ შედეგს მიიღებ, ვინაიდან წყალი წვეთ-წვეთობით ქვას ხვრეტს; მოთმინებითა და გულმოდგინე გარჯით, თავგმა მაგირი გადარღნა; პატარ-პატარა დარტყმებით შეიძლება უზარმაზარი მუხა წამოაქციო.

...ნურ გადასდებ. სახვალიოდ იმას, რისი გაკეთებაც დღესვე შეგიძლიათ.





„სიღარიბეა და მოკამაგირეობაში დავლია ჩოხელს თავისი ახალგაზრდობა, მაგრამ მისი ცისფერი თვალები ახლა ისე კეთილად იციქრებოდნენ, თითქმის ქვეყანაზე კარგის მეტი არაფერი უნახავთ“.

კონსტანტინე ლონტოვიძისძე.  
(„სიკლხების ცისკარი“)

ეს კეთილი მოზუცი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ცოცხალი მატარებელი, წყნარად რომ დაბნობენ ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში, ზემოქედის კომუნის დამაარსებელი კობა ჩოხელია.

ვინ მოსთვლის, რამდენი სიმწარისა და უბედურების მომსწრეა იგი თავის ახალგაზრდობაში...

— ჩემი მამა-პაპა, — ივანეძე მოხუცი, — დუშეთის მავრის სოფელ ჭულისში ცხოვრობდა. მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო მეცხვარობა იყო. დედაჩემს, ქალთაშუბ ბუბუნანურს, ექვსი შვილი ჰყავდა, როცა მამაჩემი, ხარისალი, მთაში ზეავს გაუტანა; ორი თვის შემდეგ კი მეშვიდე შვილად მე დავბადებულვარ.

ოჯახზე მამაჩემის ძმა შიოლა ზრუნავდა, რომელიც აუბანლვო ჯაფან ორივე თვალთი დაბრძანა. ჩვენს ოჯახს ძალე თავს დაატყდა კიდევ ერთი უბედურება — მოულოდნელად გარდაიცვალა ჩემი უფროსი ძმა.

ათი წლის რომ ვიყავი, შიოლამ ხელზე ხელი მომიჭირა და გულნატყენმა მითხრა: რბილი ხელები გაქვს, მთიელი კაცი ამ ხელებით თავს ვერ იჩრჩისო. დავნადვლიანდი. ნახევრად მშობიარეობილი პატარავი ძლივს ვყოფილხარ დღემდე პულისა და, მე თუ ჩემი მარჯვენის იმედი აღარ მეტყნებოდა, რა უნდა გვექნა?

იმევე შეოდღომანზე ბიძაჩემმა ში-

ოლამ მუხლზე დამისვა, ხელით გამზობა და მითხრა:—უკვე ვეკაცი ხარ, ოჯახს უნორს, მოკამაგირედ უნდა დავაყურო.

დღივარი მეცხვარეები შორაქის საზოგადორო საძოვრებზე ვასამგზავრებდა ემზადებოდნენ. მეც, როგორც მოკამაგირეს, ხელში კობალა მომცეს და ცხვრის ფარას გააყოფოს.

დიდხანს სიარული ვერ შევძელი, ცხენზე ავიდებოდი ხურჯინის ცალთვალში მარლის გობი ჩადეს. მეორე თვალში კი მე ჩამსვეს და ასე ჩამიყუანეს შორაქიში...

ასე დაიწყო კობა ჩოხელის დღი

1918 წლის 14 იანვარს კობა პარტიის რეაგულით თბილისში ჩამოვიდა.

1918 წლის 8 ივნისს, სსშ-მ გეგმუქორისა და ლალი სუხიშვილის მეთაურობით, დიწყო დუშეთის გლეხთა აჯანყება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. 28 დღე იბრძოდნენ, მაგრამ აჯანყება დამარცხდა. კობა ჩოხელი, სსშ-მ გეგმუქორთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა.

დუშეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან კავშირის აღსადგენად და მისთვის დახმარების გასაწყვეად, კვლავ კობა გაგზავნეს. გზაში ეჭვი რომ არავის მიეტანა, კობა ჩოხელს უშოვეს

# კობა ჩოხელი

ცხოვრების შტა. ობოლი მწყემსი ზამთრობითი მოზაქისა თუ წინამძინდორის საზოგადორო საძოვრებზე, ხოლო ზაფხულობით — მშობლიური არხობის, გულისის, ხანმატისა და წუბლოვანის მთების იალაღებზე ალდებდა სხვის ცხვარს. ცხოვრების უკუღმართობამ ბევრგობიდანვე აგვმა მწარე ნაღველი კობა ჩოხელს.

სხვის მოკამაგირეობაში გაატარა კობამ თავისი სიბუბუკე. მერე მუშის არბიაში გაიწვიეს. ერთი უბედურება — მეორე შეესცვალა.

ოქტომბრის რევოლუციამ კობა ჩოხელს ქალაქ ბაღდაში მოუწყო. იქ აირიგო ბოლშევიკი ჯარისკაცთა 20 დეპუტატები, მათ შორის იყო კობა ჩოხელიც. დეპუტატები რუსეთში გაავაზავენეს, მაგრამ ისინი ბაქოში, გემინდ გადმოსვლისთანავე, დააბატონეს.

1917 წლის დეკემბერში პარტიებში გამოქოხნეს — ვის რომელი პარტია გსურთო. უმარჯესობამ ბოლშევიკებს მისცა ხმა, რისთვისაც მათ სასტიკად გაუსწორდა ე. წ. „ლიდასა დისვიხია“.

დეკემბრის დამლევეს ბაქოში ინგლისის ჯარი შევიდა. ბოლშევიკი პარტიებზე დახვრება ელოდათ. ბაქოში მომუშავე ბოლშევიკებმა საიდუმლო კავშირი დამაყრეს მათთან და გაქცევა მოუწყვეს. კობა ჩოხელი და ბოლშევიკი ჩაჩაურთივე ქალაქ როსტოვში ჩვიდნენ, სადაც დამფუძნებელი კრება მიმდინარეობდა.

„ტუქა“ და ორი ტომარა სიმინდი. გაუფორმეს საბუბუკე, ვითომ დუშეთის ველადკავკავში სიმინდის საყიდლოდ იყო ჩამოსული და სოფელში ბრუნდებოდა.

კობა მშვიდობიანად ჩავიდა ფანანურში, მაგრამ დუშეთში წასვლა სახიფათო იყო, რადგან მისი სოფელი უკან რჩებოდა. დუშეთის მახლობლად, სოფელ ქისხეში იყო განთქმული მეთხავე ზაქარი სინჯარაძე. კობამ სახიფათო იყიდა, ქულის ყალბაში ჩააწყდა და გზა ვანაგროში, ვითომ სამიჯობად მიდიოდა.

კობა დანიშნულ დროზე მივიდა დუშეთში, სადაც არალეგალიური კრება უნდა შემდგარიყო, მაგრამ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები არ მოვიდნენ. კრება ერთი კვირით გადაიდო. კობას იქ ყოფნაზე ეჭვი რომ არ მიეტანათ, იყიდა ერთი ხარი და ბაზარის კარბთან მიიბანა, — ვითომ უნდა ვაყიდა და იმ ფულთი ცხვრები ვეყიდა. სიქ ძვირს აფასებდა ხარს, რომ ყიდვა ვერავინ შესსენდა. როცა შეატოობინეს, ყველა ამხანაგი დანიშნულ ადგილზე მოვიდა, კობამ ხარი ნახევარი ფსში ვაყიდა.

პარტიის რეაგულია პირნათლად შესარული და უკან გაბრუნდა, მაგრამ გზაზე მენშევიკებმა დააბატონეს. კობა მალე გაქცა და ისევ სსშ-მ გეგმუქორის რაზმი შევიდა. იქ გაეცხო სერგო ორგანიზაციის, რომელიც წითლების მე-11 არბიას აყალიბებდა.



კობა არმიასი ჩაირიცხა და მე-18 დივიზიაში იბრძოდა სამკითხა ხელი-სუფთების მტრების წინააღმდეგ...

1921 წლის 18 თებერვალს, დილით, კობა ჩოხელი, მე-18 დივიზიასთან ერთად, მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველი გლეხების დასახმარებლად შეძროვიდა საქართველოში. იგი დატოვებული იქნა რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე და, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედში, სადაც იმამად დღემდე მთიანი სოფლებიდან ჩამოსასულბული გლეხობა ცხოვრობდა.

ჩიდა სამოქალაქო ომის ქარიშხალი. ახალგაზრდა სამკითხა ხელისუფლება შეუდგა დაწვერილი მებრძოლების აღდგენას. რუსეთში დიწყო გლეხთა ლტოლვა კოლექტიური მებრძოლისავენ, შეიქმნა სამიწათმოქმედო ამხანაგობები. კოლექტიურმა შრომამ ისინა ხელმოკლე გლეხობა.

საქართველოშიც ვაჩნდა კოლექტიური მებრძოლის პირველი მერცხალი — სამთავისის კომუნა.

კობა ჩოხელის ხელმძღვანელობით ასეთი კომუნა შეიქმნა სოფელ ზემოქედშიც. ამ კომუნაში 17 კომლი გაერთიანდა. კომუნარებმა შეადგინეს ოცდაათმხლელის წესდება.

წესდების ერთ-ერთი მუხლი მიუთითებდა, რომ თუ ვინმე კომუნიდან გავიდოდა, სამებრძოელი წლის დამთავრებამდე მას თავისი ქონება არ დაუბრუნდებოდა. კომუნის პირველი წარმატებებით გაბოროტებული კულაკები ყოველწლიურად ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ კომუნისათვის. მათ გადლობდნენ რამდენიმე გლეხი და ისინი კომუნიდან გავიდნენ. წესდების

თანახმად, კომუნიდან გასულებს თავიანთი ხარები აღარ დაუბრუნეს. გაჯავრებულმა გლეხებმა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილომე მახარაძეს გაუგზავნეს განცხადება. ფ. მახარაძემ კობას მისწერა, დაუბრუნე ყველას თავიანთი ქონება, ნუ გავადიხანებენ გულგაცემს, მოვა დრო და თავიანთ შეგვეხვეწებიან კომმუნერეთიანი შესვლასო.

ფ. მახარაძის თხოვნას თუ შესარულბდა, კობა იქნებოდა წესდების დამრღვევი და ისედაც მოუმაგრებელ კომუნას სახელი გაუტყდებოდა. სხვაგვარა იყო, ჩოხელმა ფ. მახარაძეს მოკლე პასუხი დაუბრუნა: „ვიწიანდ თქვენი ბრძანება ჩვენს წესდებას ეწინააღმდეგება, უარი ეთქვას!“ ამრიგად, კომუნიდან გასული გლეხები ისევე უკან დაბრუნდნენ, — აქაც დამარცხდნენ კულაკები.

კომუნარებმა 1927 წელს ააგეს ორსართულიანი საცხოვრებელი შენობა და გომურებს დადწიეს თავი. კომუნისათვის წარმატებებმა სოფლის მეურნეობის დიდი ნაწილი მიიზოდა, მაგრამ კულაკებისა და ვეღად გაავარდნილი ყაზაღების შიშით ჭარ კიდევ ეკრძო მებრძოლ დარჩენას არჩევდნენ. ახალგაზრდებს კი კომუნა იტყავებდა. კომკავშირელები — ალექსი ბეკაური, მიხეილ ჩოხელი, სანდრო კობაძე, შალკო კობაძე და სხვები კომუნაში გაერთიანდნენ მამების ნებაართვის გარეშე.

1928 წელს მოსკოვში შეიქმნა საკავშირო ორგანიზაცია „კოლხოცენტრი“, რომლის პირდაპირი მოვალეობა იყო ხელმძღვანელობა და დახმარება

გაეწია სასოფლო-სამებრძოლო პიტელებისათვის. კობა ჩოხელი „კოლხოცენტრის“ პირველ ყარბოლს ემსახურებოდა, როგორც ამიერკავკასიის წარმომადგენელი, და არჩეულ იქნა „კოლხოცენტრის“ წევრად.

კოლექტიურმა მებრძოლებმა დარბი გლეხაკობა შეძლებული ცხოვრების გზაზე დააყენა. 1929 წელს დღემდე არსებულ ჩამოვლიან 85 კომლითა კომუნაში გაერთიანდა.

1932 წელს კომუნა სასოფლო-სამებრძოლო არტელად გადაკეთდა, რომელშიც მთელი სოფლის გლეხობა გაერთიანდა. კობა ჩოხელი 1948 წლამდე ხელმძღვანელობდა კომუნის ბაზაზე შექმნილ ძლიერ სასოფლო-სამებრძოლო არტელს, შემდეგ კი პენსიაზე გადავიდა. კომუნელების ხელმძღვანელობა თავისთავად აღბრძოლ არჩენ კობაძეს ჩააბარა.

\*\*\*

80 წელს მიღწეული სანდომიანი მოხუცი კობა ჩოხელი ვაღძობილი ჩაივლის ხოლომე სოფლის შირას და უმალი თვალის წარმოუდგება 1921 წელი ზემოქედში, როცა აქ თავისუფლების შუბე ამოანათა, ტალახიანი გზებში, აქა-იქ მიმოფანტული გომური ბინები...

ასსოგის და კობას პირველი ოთხწლიანი სკოლის დარსიდა ზემოქედის, ქვემოქედისა და არხილეთისკოლის მოსახლეთათვის. ახლა კი სამივე სოფელში საშუალო სკოლებია. კულტურის ყველა სიკეთით გასხივინებული სოფელი ზემოქედი გაბედულად მიდის წინ.

თბილისში, ვეა-ფშაველას პროსპექტზე ცხოვრობს სახელოვან კომუნართა თავკაცი, რევოლუციის წარისკაცი კობა პაპა, ოთხმოცი წლის გადასახელოდან კმაყოფილი გამჭურვებ ნავნელოლ გზას და მომავალი დღეების სიკეთით ბედნიერი ხარობს თავის შვილოშვილებთან — პატარა ნინასა და კობასთან.

ასეა, სამშობლო არავის დაუკარგავს ხალხისთვის გაწეულ ამაგს. ამას მტყველებენ კობა პაპას მეორეზე აკიაფებული ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები. ამას მეტყველებს უმაღლესი მთავარსარდლობის მადლობა, რომელიც მან სამამულო ომის წლებში თავდადებული შრომისათვის დაიმსახურა.

კობა ჩოხელი ზვიონისში დაბადდა



მიორბი მოჩივაპოლი.





# ■ გახსმევანება და მომეტატი

კარგად გადმოგვცა გიორგი მახარაშვილის წერ კიდევ ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება საკუთრისადმი. სხდ არის მისი ადვილი — სოფელში, თავის ეტრიაშივე, თუ ფრანგულ, თავის და ახალად დაბნის სიცოცხლის დასავადალ წერნა მრავალსადაც დაბად აგრეთვე აჩვეული გაუთავალისწინებელი რიტუალი გიორგი მახარაშვილისა, რომლითაც იგი არცაღის მიმართავს: «Говорил я Аркадий, не надо звать, не надо звать!» — ეს გადაღების დროს მოულოდნელად წამოიხანა სიტყვა ზაქარიაზე და იქვე საერთო სიცილი გამოიწვია.

ზნორია ისმენა საკითხი: ვინ აუენებს კინოაპარატს განსაზღვრული კუთხით, ვინ არჩევს ე. წ. „გადაღებულ წერტილებს“ გადაღების დროს — რეჟისორი, ოპერატორი თუ მხატვარი? ამ კითხვებზე ვასუბნის ვაცემა მღირონ მშენილა, ეს ინფორმაციები მისი მითხრობის მილიანად ოპერატორების ანდონენ, ზოგიერთები კი ამას კოლექტიურად სწევენ — მხატვართან და ოპერატორთან კონსულტაციის შემდეგ. ზნორიად ზოგიერთი ოპერატორი (მგალითად, ურუსუსევი) აღიგებენ: „გაუზავნელი წერილი და „იგი — კუბა“ კადრის რაჯურის, აპარატის მოძრაობასა და კომპოზიციას იუენებს ოპერატორთან ოსტატობის საჩვენებლად. ეს, რა თქმა უნდა, ვინცას აუენებს ფილმის საერთო შინაარსს. არ უნდა დაჯავიწუდეს, რომ კადრის გადაღება და მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ იგი თვითმზანი არ არის, ისე უნდა დაჯავიწუდო აპარატ გადასაღები მიხივტის წინ, რომ მან, სპირიტუალურ ყოვლისა, გამოხატოს მომხდარი შინაგანში შექცევა. იტალიელი პროფესორული კინოსტატების ნაშუაგურები თუენდ ვერასოდეს ვერ შეინაგვი ოპერატორულ ფანდებს, განსაკუთრებულ რაჯურისგან, განათების რამიე არჩიეულებრივ გადაწყვეტებს, ან პანორამათა იმყო სავრცლას და უწყებობას, რომ შერე დასავრცლად რაჯურის გადაღება. მაგრამ ვინაა ტაბლოური ფილმების გამოსახვითი მხარე არ დასა მალად დონეზე? საქმე იმისა, რომ იტალიელი პროფესორული ოსტატები, მიიღებენ რა რიტალისტური სმარატის გადმოცემისგან, რიგდებინან ყოველივე იმას რაც ზედრე ხელოვნურებისა შეიტანს მათი ნაშუაგურში. მათი ამოცანაა მაქსიმალური უბრალოება, — ხოლო ამის მიღწევა კიდევ უფრო მეტ ოსტატობას მოითხოვს, ვიდრე ხანგასწავლი რაჯურისები და განათების შექმრადლების ზედრეტი აქტივობება.

ამგვარად, ჩვენ გადაღების წარმოების თითქმის ყველა ძირითად მომენტს გვეცინით. როდესაც გადაღები გზავთ გადაღების ყველა გათავალისწინებულ კადრს, შეიძლება ითქვას, რომ კინოფილმის გადაღების პროცესი დამთავრებულია, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ფილმი უკვე მზად არის. გადაღების დამთავრებით საქმე არ თავდება — წინ კიდევ ბევრი სამუშაოა.

გადაღება დეტალირებები (ე. ი. სტუდიის პავილიონებში), როგორც წინი, მიმდინარეობს სინქრონულად. ე. ი. გადაღებთან ერთად მისი ჩამწერი აპარატები იწერენ დაილაგსა და მზურას, რომლებიც თანახლავს მოქმედების (კარის გადაღება, ფეხის მხე, ვარსკლავ და სხვ.). მაგრამ ნატურალურ გადაღების წარმოება უყოველთვის ვერ ხერხდება სინქრონულად. საქმე იმისა, რომ როდესაც გადაღები გზავთ იმყოვება ბუნებაში გადაღებზე, იქ მსახიობის მიერ წარმოქმნილ ფრაზებთან ერთად ისმის ბევრი, გარშემო მხარე, რაც ხელს უშლის მისი ხარისხზე ჩაწერას. ეს საკუთრივ ვასაგებია: წარმოადგინეთ რომ გადაღება მიმდინარეობს თბილისის ან რომელიმე სხვა ქალაქის ქუჩაში, სადაც ტრანსპორტისა და ხალხის მხარე შეწყვეტა არ ხერხდება, — ეს კი თითქმის შეუძლებელი ხდის მოქმედ გმირთა დიალოგის გარკვეულად ვარკვებას. ჩვენ ვგონად, რომ ზუსტიად იმყოვება, რას დამარკვებ მსახიობები და მხოლოდ ფონზე იმყოვლებს კალაქის ბუნებრივ გადაღების დროს კი თანაურადობა ირავება. ფინი ებრების წარმოქმნილ ტექსტს და აღარ არის ვარკვება, — რა არის პირველხარისხისა და მორკვარების სიზუსტე. მალიან დასანანი, რომ უმეტესი ნაწილი მორკვარებ ჩანაწერა მისი ფილმში არ შედის და შემდეგ ასეთი ეიპოვლები სტუდიის „მისი ატულით“ ხელახლა ვასამზავნებელი ხდება. ეს ატული (ვიგნა საწარმოებელი) ჭერტობით მღიერ საჰირო დარბაზი კინემატოგრაფიაში. ჩვენ და საწარმოებელი-ფიქტი, იმყო ვთქვი, რომ ის, რასაც უყოველად გადაღების დროს შეიძლება მიიღწიო მსახიობის თამაშითა, აქედან გამომდინარე, მისი ინტონაციები, მქნალა ამავე დონეზე იქნეს გამოჩენილი ატულით გამომდინარეობის დროს. გადაღებული მსახიობი არის მდებარეობე გამმოვლება „მისი ატულით“ კიდევ ერთი როლს ეკრანზე თამაშობს ერთი მსახიობი და ამბოვლებს მეორე. ეს უმთავრესად მაშინ ხდება როდესაც როლს წერ კიდევ სურათად გამოცდილი, არამოქმედებელი მსახიობი მსახიობები.

გამმოვლება ატულით ასე ხდება: გადაღებული მსახიობი ავირჩევთ საჰირო ბოლოდ წაწევებს, სულ 30-50 სიტყვის რაოდენობით, 25-30 მეტრის სიგრძის ფილმ. შემდეგ კეთდება წერი, ე. ი. თავი და ბოლო ფილის ერთმანეთს დადებამბა, რომ მან კინოსამოქმედი აპარატი იტრიალებს გაუჩერებლად. ეკრანზე დაიწება გამორება ერთი და იგივე ეიპოვლება (ჩვენ ხომ ვაჯავიწუდებ წერი—თავის თავი და ბოლო ერთმანეთს დადევანებთ). ამ წაწევებში მოწარულ მსახიობები დაწანს ეკრანის წინ და წარმოებამბენ სიტყვებს ისე, რომ ზუსტად „მოარკვებნ“ ეკრანზე მოქმედ გმირთა არტაკულებების (კარის მოძრაობას), თანაც შეინარჩუნონ საჰირო ემფილიური დამაბულება. როდესაც რეჟისორი შეიტაკობს, რომ ამგვარმა რეტეტიკამ სასურველი შედეგი გამოიღო, იწყება მისი ჩაწერა. ჩაწერა ხდება ზედაზღდ იმდენჯერ, რამდენჯერაც საჰიროდ ჩათვლის მისი ოპერატორი და რეჟისორი. შემდეგ, რამდენიმე ჩანაწერის მომხმენით და ეკრანთან შედარებით, იჩენვა საუკეთესო. ეს საშუარო სავამოდ და სოუსტატს მოითხოვს. რა თქმა უნდა, აქ შეიძლება ზოგიერთი სიტყვის (რომლებიც ზედრეტიკ ვეჩენენება გადაღების შემდეგ) მიხარებულად შეცვლა ან ახალის დაბრება, (მგალითად: დღეში მტკობ შენაწმირთა კინოსტრუქტი ამაგანას ლერკა შა! — დღეი წალო, დღეი წალო, ლერკა ჩენია კარე ჯაბო!... რაც შესწინაგვად ახასიათება ამ სახეს, მოქმენილი და დამაბულება იქნა გამმოვლების დროს), ზოგიერთი ინტონაციის შერბობება ან პირიქით—ხაგანება და სხვ. გადაღებული მსახიობის გამმოვლების დროს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რეჟისორმა შეძლოს მსახი-



კადრი ფილმიდან „მადონა და ბავშვი“

ეროვნული  
განმათავისებელი

ობებთან ერთად აღადგინოს ვადალების დროს შექმნილი განწყობილება, რომ უკუელი ინტონაცია, რომელიც გახმოვანების დროს დაბადდება, შეესატყვისებოდეს უკეთ ვადალებული მასალის ხასიათს.

რას ვუწოდებთ ფილმის მონტაჟს? მონტაჟის ელემენტარული ცნება ნიშნავს კადრების ერთმანეთთან შეერთებას, რაც მოვლევებს შინაარსში გარკვევის საშუალებას. მაგალითისათვის წარმოვიდგინოთ შემდეგი ცალკეული კადრები: კადრი № 1. ქუჩა. ბავშვი ჩანთით ხელში მიიქარის... კადრი № 2. ქუჩის დიდი საათის ისარი მის უბრუნებს... კადრი № 3. სკოლის დირექტორი, რუს ხართ... კადრი № 4. ბავშვი ჩანთით ხელში ვარბის...

ცალ-ცალკე აღებული ეს კადრები შეიძლება წარმოადგინოს არ გავაძღვდნენ თუ რა ხდება, მაგრამ როდესაც ცალკეული კადრებს ერთმანეთს შევუერთებთ (ტექნიკურ ენაზე რომ ვთქვათ — მივაწებებთ), მაშინ მთლიანად გავერკვევით შინაარსში. ზემოთ მოყვანილი კადრების შეერთებით ჩვენ გავიგებთ, რომ ბავშვი სკოლაში იგვიანებს. ადრე, როდესაც კინოში ხმა არ იყო (მუხი კინოს პერიოდს), მონტაჟს ვადაწევდებენ მნიშვნელობა ეძლეოდა. იყო მთელი რიგი მნიშვნელოვანი, რომლებიც მონტაჟს კინოხელოვნების ქვეყნობიდან აცხადებდნენ და თითქმის უარყოფდნენ მსახიობის მნიშვნელობას. ამ დროს მიღწეული იქნა სამართაო ხელოვნების მაღალი დონე. ს. იხრეშტილის ისეთი ფილმები, როგორც იყო „ჩაგუნისანი პოტიომკინი“, „ოქტომბერი“ და, ბოლო პერიოდში „იდეალისტურ ნეველი“ მონტაჟის უდიდეს ხელოვნებას წარმოადგენს. ეხრეშტინი მტრუნდა კინოტექნოლოგიულ სახეებს მონტაჟის საშუალებით. „ჩაგუნისანი პოტიომკინი“ პრის ცნობილი ენიოდა „დადის კიბე“, სადაც ვადაწევებულია მეფის ქარების მებრ ხალხის დახვრება 1895 წელს, ოლსანი. ქ. ოლდის ულანაჟის, ფაირო და გრძელ კიბეზე, რომელიც ზღის სანაპიროს ევლება, თამაშდება დრამატული ისტორია. ბავშვები, მოხატები ვარბიან, ერთმანეთს ასწრებენ, ერთხელ... აი, შევუბნოთ ჩაბეჭდილი ქალი საბავშვო ეტლს ეფარება, რომ შავ მწოლ ქაბუჭოვარა ბავშვს პრეფერ მოვლავს. ქალი სასიყვლოდ დამბრებას იცემს. უბრალოდ დარჩენილი საბავშვო ეტლი ბოქსისაგან დაქანდება და უწყებს კიბის საფუბურებზე დაშვებას. რეჟისორი შესანიშნავად ამონტაჟებს ერთმანეთთან ქარისკაცების ზუსტ, უხეშ ნაბიჯებს, გაქცეული ხაზების შემოღობი სახეებს და საბავშვო ეტლის თავზე სრბოვას.

მის შემდეგ, რაც კინოში აღაპარაკა მოვარი კომპონენტი — მსახიობი, მონტაჟმა დაქარაგვა წამყვანი როლი, მაგრამ მას მაინც ერთ-ერთი მოვარე მნიშვნელობა აქვს ფილმის რიტმისა და კომპოზი-



აკადრი ფილმისა „მისრინავენი ვარობები“. მსახიობი ბ. სახილოვა


ციის შემქმნაში. ფილმის საბოლოო მონტაჟის დროს ჩვენ შეგვიძლია ამოვლით ენიოვებით, რომლებიც ზედმეტად გვიტყვენა. ამვე დროს შევამყროთ ზოგიერთი კადრის სიგრძე. ამგვარად, მონტაჟისა და გახმოვანების დროს შესაძლოა გავაყვით ზოგიერთი კორექტივი.

გახმოვანებისა და მონტაჟის შემდეგ ხდება ფილმის ვადაწერა (ლიპოვების, მუსიკის, ხმაურის ერთად თავმოყრა) და დაბეჭდვა ლაბორატორიაში. ეს პროცესები, უმოკრესად, ტექნიკური ხასიათისა და თუმცა აქაც შემოქმედებითი მომენტის გამოთქვა სწორი არ იქნება.

ამგვარად, ძვირფასო მეგობრებო, ამ წერილში ჩვენ შევეცადით მოკლედ გვეჩვენა იმ მრავალსაფეხურიან პროცესს, რომელსაც „ფილმის ვადალება“ ეწოდება. როდესაც ფილმის ვადალება დასრულდება, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, როდესაც ფილმი დაბადდება, ეს არის უდიდესი მოვლენა მისი შემქმნელებისა და მთელი სტუდიის ცხოვრებაში.

ბედნიერებას, როდესაც იცრანძბ, რომ შრომამ ფუჭად არ ჩაიარა. რომ ფილმმა გზა იპოვა მაყურებლის გულისკენ და ცხოვრებაში აღმანიშნეს გამოვლა.

გალაქა ვადალება



პა, შემოალო კარი  
მაისმა,  
მახარობელმა დღეის,  
ხვალისა...  
ვარდ-ყვავილების  
ფიფთა მფრტყვევლა —  
იმედმა დღემა  
და უძლეველმა.

დიდება დღეებს,  
ნათელ აისებს,  
ზღვა სინარულით  
გულს რომ ავიცსებს.  
ყველგან მშვიდობის  
ხმები გაისმის,  
ბზწყუნავს მაისი,  
ფეთქავს მაისი.

მზემ გულს გახსნა —  
სითბოს არ ზოგავს,  
მოდის ამაყი  
ცალგაზრდობა.  
ირწყვეა დროსა  
მზედ გაფენილი —  
დიდი ოქტომბრის,  
დიდი ლენინის.



# სსრკ-ის პოლიტიკა

## ქვეყნის

# საგარეო პოლიტიკა

თქვენ, ალბათ, ყველანი იცნობთ ვეფხისტყაოსნის შინაარსს — ზოგს წაგიკითხავთ, ზოგს იქნებ შობილბედის მონათრობით გახსოვთ. მაგრამ მე მაინც ორიოდ სიტყვით შეგახსენებთ ვეფხისტყაოსანში გადმოცემულ ამბავს.

არაბეთში ცხოვრობდა დიდი და სახელგანთქანი მეფე როსტეანი. ერთ მშვენიერ დღეს მან შეკრიბა სასახლის დიდებულები და ამცნო თავისი გადაწყვეტილება: იგი სამეფო ტახტს უთმობდა თავის ერთადერთ ასულს მშვენიერ თინათინს. ამ ნაბიჯს მეფე ამაართლებდა სიბერის მოახლოებთ.

მეფის გადაწყვეტილება ურყევი იყო. თინათინს მეფემ კუროთხევის საზღვიო ცერემონიალი შემდეგ განმართა დიდი ნადირობა. მეფეს უნდოდა გამოეთქადა რჩეული ქაბუჯი ავთანდილს, რომელიც იყო არაბეთის ჩაგრების უდიდესი ანუ ამირ-სპასალარი. ავთანდილმა ღიბსეულად გამოიჩინა თავი, ნადირობაში თვით მეფესაც აჯობა, მაგრამ ამ მოხდა საკვირველი ამბავი: მეფემ და ავთანდილს წააწყვეტინა ვეფხისტყაოსნის შემოხილ უცხო რაინდს, რომელმაც ანალი არავინ გაიყარა, როსტეანის მსოფლები დახიოდა და თვალს მიეფარა.

უცხო მოყმის ვინაობით ყველანი დაინტერესდნენ. მაგრამ იცნობა ამაო აღმოჩნდა. თინათინმა ძეგლა, რომ ავთანდილს მას შორიდან ეტრფოდა. თინათინმა იხმო იგი და დაავალა ამ ძნელი საქმის შესრულება, საზაიგოროდ ერთგულება შეჰქვიცა,

და აღუთქვა თავისი ხელი.

დიდ დარბაჯლებათა გადალახვის შემდეგ, არაბეთიდან წამოსვლის სამი წლის თავზე, ავთანდილმა მიავლი უცხო მოყმის კვლს და გამოქვეყნებულს, სადაც კაცთაგან განმარტოებები, ერთ ქალთან ერთად, ცხოვრობდა ვეფხისტყაოსნის შემოხილი რაინდი. იგი აღმოჩნდა ინდოეთის სახელგანთქმული სარდალი ტარიელი, ქალი კი — ინდოეთის მეფის ასულის თანშეზრდილი მოახლე ასმათი. ტარიელმა თავის ახლადგაცნობილ მეგობარსა და მამლმეფიცულ ავთანდილს უამბო თავისი სამწუხარო თავგადასავალი.

